

# სახაზინო სამსახურის

## ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

საქართველოს 2015 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელების, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ

### სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

საქართველოს 2015 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა შეადგინა სულ 6 308 551.9 ათასი ლარი; მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 204 677.1 ათასი ლარის მოცულობით, არაფინანსური აქტივების კლებით მიღებულმა შემოსულობებმა შეადგინა 168 231.1 ათასი ლარი, ფინანსური აქტივების კლებით მიღებული იქნა 43 635.8 ათასი ლარი, ხოლო ვალდებულებების ზრდით 892 007.9 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-აგვისტოში მიღებული სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებმა (5 204 677.1 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (5 847 103.1 ათასი ლარი) 89%;

– გადასახადების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 5 484 595.2 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული 4 867 411.8 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 88.7%;

მათ შორის:

„გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“ საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 221 151.8 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 001 907.3 ათასი ლარი, რაც გეგმის 90.1%-ია; მათ შორის:

„საშემოსავლო გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 1 407 207.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 1 282 125.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 91.1%;

„მოგების გადასახადის“ სახით მიღებული შემოსულობების მოცულობამ (719 562.3 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (813 944.0 ათასი ლარი) 88.4%;

„სხვა გადასახადებმა შემოსავალზე, მოგებაზე და კაპიტალის ღირებულების ნაზრდზე“, რომელთა კლასიფიცირება შეუძლებელია შეადგინა 220.0 ათასი ლარი;

- ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საქონელსა და მომსახურებაზე“ შეადგინა 3 194 330.8 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 2 804 390.5 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.8%-ია; მათ შორის:
    - „დამატებული ღირებულების გადასახადის“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 2 550 646.3 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 2 264 769.2 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 88.8%;
    - „აქციზის“ სახით მიღებულმა შემოსავლებმა შეადგინა 539 621.3 ათასი ლარი, რაც გეგმის (643 684.5 ათასი ლარი) 83.8%-ია;
  - ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ „გადასახადებზე საგარეო ვაჭრობასა და საგარეო ეკონომიკურ ოპერაციებზე“ (იმპორტის გადასახადი) შეადგინა 51 346.6 ათასი ლარი, მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 45 804.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 89.2%-ია;
  - „სხვა გადასახადების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 17 766.0 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 15 310.1 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 86.2%.
- გრანტების ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 159 377.8 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 144 929.3 ათასი ლარი (რაც გეგმის 90.9%-ია); მათ შორის:
- ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული გრანტები – 56 830.6 ათასი ლარი;
  - სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების გრანტები სულ 10 349.2 ათასი ლარი, რომლის ექვივალენტი უცხოური ვალუტა, ხაზინის სავალუტო ანგარიშზე დონორების მიერ პროექტების დასაფინანსებლად ჩარიცხული თანხიდან, დაკონვერტირდა და ხაზინის ერთიანი ანგარიშის მეშვეობით მიიმართა სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებში;
  - საგარეო წყაროებიდან მიღებული ბიუჯეტის მხარდამჭერი გრანტი – 44 680.0 ათასი ლარი;
  - სხვა გრანტები (სსიპ - დან მიღებული) – 1 151.9 ათასი ლარი;
  - „სამინისტროების და უწყებების მიერ მიღებული ფულადი გრანტების/მიზნობრივი დაფინანსების აღრიცხვის და ხარჯვის შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №419 ბრძანების თანახმად, ბიუჯეტში ასახული საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დანიშნულების გრანტები 31 917.6 ათასი ლარი.
- „სხვა შემოსავლების“ ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობამ შეადგინა 203 130.1 ათასი ლარი, ფაქტიურად მიღებული იქნა 192 336.0 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის 94.7%. მ.შ. საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ

მიზნობრივი დაფინანსების სახით მიღებული ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარდა 10 978.1 ათასი ლარი, რომელიც ბიუჯეტში აისახა ზემოთ მითითებული ბრძანების შესაბამისად.

2015 წლის იანვარ-აგვისტოში „არაფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ (168 231.1 ათასი ლარი) შეადგინა ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (176 771.8 ათასი ლარი) 95.2%;

„ფინანსური აქტივების კლებით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 43 635.8 ათასი ლარი, რაც ცხრა თვის საპროგნოზო მოცულობის (50 739.5 ათასი ლარი) 86%–ია. მათ შორის:

შემოსულობები სესხებიდან – 43 631.7 ათასი ლარი, ანუ საპროგნოზო მოცულობის (50 739.5 ათასი ლარი) 86%;

შემოსულობები სხვა დებიტორული დავალიანებებიდან – 4.2 ათასი ლარი.

„ვალდებულებების ზრდით“ მიღებული შემოსულობების მოცულობამ შეადგინა 892 007.9 ათასი ლარი (რაც გეგმის – 1 168 700.2 ათასი ლარის 76.3%–ია);

მათ შორის:

– საშინაო ვალდებულებების ზრდით (შემოსულობები ფასიანი ქაღალდებიდან, გარდა აქციებისა) ფაქტიურად მიღებული იქნა – 311 029.4 ათასი ლარი, რაც გეგმის (400 000.0 ათასი ლარი) 77.8%–ია;

– საგარეო ვალდებულებების ზრდით მიღებული იქნა – 580 978.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (768 700.2 ათასი ლარი) 75.6%–ია, მათ შორის:

– ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტი – 293 822.2 ათასი ლარი;

– ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაციით, სახაზინო სამსახურის ერთიანი ანგარიშის გაუვლელად მიღებული კრედიტები სულ 125 007.9 ათასი ლარი;

– სახაზინო სამსახურის მომსახურებაზე მყოფი ინვესტიციური პროექტების კრედიტები სულ 162 148.5 ათასი ლარი.

ინვესტიციური კრედიტებისა და გრანტების ფარგლებში ჩარიცხული თანხების შესახებ ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილი ინფორმაციიდან სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების შესრულების ანგარიშგებაში ასახვისას ამოითიშა კრედიტების და გრანტების თანხები 131 917.8 ათასი ლარის მოცულობით, რომელთა შესაბამისი ექვივალენტები უცხოურ ვალუტაში ჩაირიცხა ხაზინის სავალუტო ანგარიშზე და პროექტის განმახორციელებლების მიერ ხარჯების გაწევის შესაბამისად, განხორციელდა კონვერტირება და ხაზინის ერთიანი ანგარიშზე ჩარიცხვის გზით მიიმართა ბიუჯეტის შემოსულობებში.

„საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს სისტემაში შემავალი ბიუჯეტის მხარჯავი ერთეულების მიერ მიღებული საკონსულო მოსაკრებლის, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში საკონსულო თანამდებობის პირის მიერ გაწეული მომსახურების საფასურისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების აღრიცხვისა და გამოყენების წესის შესახებ“ საქართველოს პრეზიდენტის 2010 წლის 15 ოქტომბრის №835 ბრძანებულების შესაბამისად, საკონსულო მოსაკრებლებისა და ბიუჯეტის სხვა შემოსულობების სახით, საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილობითი მომართვების საფუძველზე, 2015 წლის იანვარ-აგვისტოში სახაზინო სამსახურის მიერ ხაზინის ერთიან ანგარიშზე გატარდა და სახელმწიფო ბიუჯეტის როგორც შემოსულობებში, ასევე გადასახდელებში ასახული იქნა, წარმომადგენლობებისა და საკონსულო დაწესებულებების მიერ მიღებული და ადგილზე გახარჯული თანხები, სულ 2 403.2 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილება

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 იანვრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 434 413.9 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 434 238.9 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) – 175.0 ათასი ლარი.

სახელმწიფო ხაზინის ანგარიშებზე 2015 წლის 1 სექტემბრისთვის რიცხულმა სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთმა შეადგინა 727 595.1 ათასი ლარი; აქედან: თავისუფალი ნაშთი – 727 173.1 ათასი ლარი; ფულადი სახსრები საინვესტიციო გრანტებით პროექტების დასაფინანსებლად („დაცული ტერიტორიების განვითარება“) 422.0 ათასი ლარი.

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 21-მუხლის, მე-8 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 7 თებერვლის №176-ე განკარგულების თანახმად – 172 835.1 ათასი ლარი და „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის 20-მუხლის, მე-7 პუნქტის და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 იანვრის №29-ე განკარგულების თანახმად – 99 996.0 ათასი ლარი (სულ 272 831.1 ათასი ლარი), სახაზინო ობლიგაციების გამოშვებით მიღებული სახსრებიდან განთავსებულია კომერციულ ბანკებში ვადიანი დეპოზიტის სახით.

საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის ცვლილებამ (დაგროვება) შეადგინა 293 181.2 ათასი ლარი.

## სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანი სალდო

2015 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლები მიღებული იქნა 5 204 677.1 ათასი ლარის მოცულობით (ცხრა თვის გეგმა 5 847 103.1 ათასი ლარი); ხარჯებმა შეადგინა 5 139 998.3 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა 6 030 506.1 ათასი ლარი); საოპერაციო სალდომ შეადგინა 64 678.8 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა -183 403.0 ათასი ლარი); არაფინანსური აქტივების ცვლილების შესრულებამ შეადგინა 167 967.7 ათასი ლარი: მათ შორის: შესრულებამ არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შეადგინა 168 231.1 ათასი ლარი; არაფინანსური აქტივების ზრდით შესრულებამ 336 198.8 ათასი ლარი.

2015 წლის იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიანმა სალდომ შეადგინა -103 288.9 ათასი ლარი (ცხრა თვის გეგმა -559 052.4 ათასი ლარი).

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის და ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლებისა და ფინანსური აქტივების კლების კვარტალური განწერის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №430 ბრძანებით დამტკიცებული განწერით, 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გასაწევი სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები განისაზღვრა 7 208 173.1 ათასი ლარით (მათ შორის საბიუჯეტო სახსრები 6 692 109.8 ათასი ლარი, კრედიტები და გრანტები 516 063.3 ათასი ლარი); საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის №424 ბრძანებით დამტკიცებული „სახელმწიფო ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ გადახდების განხორციელების წესის შესახებ“ ინსტრუქციის შესაბამისად, ვალდებულებები რეგისტრირებული იყო 6 443 663.4 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 6 015 370.8 ათასი ლარი, (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა 5 611 093.2 ათასი ლარი, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული საკასო ხარჯების მოცულობა – 404 277.6 ათასი ლარი), რაც ვალდებულების 93.4%, ხოლო გეგმის 83.5%-ს შეადგენს. საბიუჯეტო სახსრებით გაწეული საკასო ხარჯების მოცულობამ 2015 წლის იანვარ-აგვისტოს მთლიან ხარჯებში შეადგინა 93.3%, ხოლო კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების მოცულობამ კი მთლიანი ხარჯების 6.7%.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 20 სექტემბრის №738 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებისათვის ფულის გაცემის

ყოველთვიური ოპერატიული ფინანსური გეგმის შედგენის, დამტკიცებისა და ფულის გაცემის წესის დამტკიცების თაობაზე“ ინსტრუქციის საფუძველზე, ხაზინის მომსახურებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ, ბიუჯეტით განსაზღვრული ასიგნებების ფარგლებში, თანხების ხარჯვა იანვარ-აგვისტოში ხორციელდებოდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის მიერ დამტკიცებული ფულის გაცემის ოპერატიული ფინანსური გეგმის მიხედვით.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, იანვარ-აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში დანართის სახით თან ერთვის, ხოლო გაწეული საკასო ხარჯების სტრუქტურა საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით შემდეგია:

ხარჯების ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით: „შრომის ანაზღაურების“ მუხლით ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 1 040 417.6 ათასი ლარი. ამ მიზნით რეგისტრირებული იქნა ვალდებულებები (წარმოდგენილია განაცხადი) 983 547.9 ათას ლარზე, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 891 482.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 90.6%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 85.7%-ს შეადგენს.

„საქონელი და მომსახურების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 708 951.6 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 612 232.2 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 571 907.3 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 93.4%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 80.7%-ს შეადგენს.

„პროცენტის“ დაფარვის მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 266 123.9 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 230 025.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 217 809.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 94.7%-ს და საგეგმო მაჩვენებლის 81.8%-ს შეადგენს. მათ შორის:

– საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 117 597.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (129 685.2 ათასი ლარი) 90.7%-ს შეადგენს;

– საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებისათვის საანგარიშო პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 100 212.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (100 340.7 ათასი ლარი) 99.9%-ია.

„სუბსიდიების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 180 593.0 ათასი ლარი, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 163 928.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 156 781.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.6%-ს და გეგმის 86.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან შეღავათიანი აგროკრედიტების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 17 830.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 17 049.2 ათასი ლარი, რაც გეგმის 95.6% და ვალდებულების (17 049.2 ათასი ლარი) 100%-ია.

„გრანტების“ მუხლით გასაწევი ხარჯების 2015 წლის ცხრა თვის გეგმამ შეადგინა 921 491.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 782 414.5 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (786 189.9 ათასი ლარი) 99.5% და საგეგმო მაჩვენებლის 84.9%-ია.

ხარჯების აღნიშნული კატეგორიიდან 2015 წლის იანვარ-აგვისტოში ავტონომიური და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულების ბიუჯეტებს ფინანსური დახმარების სახით გადაერიცხათ 763 038.2 ათასი ლარი, ანუ ვალდებულების (765 930.8 ათასი ლარი) 99.6%.

„სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლით 2015 წლის იანვარ-აგვისტოში მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 1 819 189.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (2 004 742.0 ათასი ლარი) 90.7% და საგეგმო პარამეტრის (2 062 661.8 ათასი ლარი) 88.2%-ია.

აღნიშნული მუხლიდან სოციალური დაცვისა და საპენსიო უზრუნველყოფის ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 1 510 904.7 ათასი ლარი, გადახდამ შეადგინა 1 323 381.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 87.6%-ია. მათ შორის: საპენსიო უზრუნველყოფის დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 910 098.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (1 030 139.8 ათასი ლარი) 88.4% და გეგმის (1 033 148.0 ათასი ლარი) 88.1%-ია; სოციალური დახმარებების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 464 108.8 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 401 592.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 86.5% და ვალდებულების (463 950.8 ათასი ლარი) 86.6%-ია; ჯანმრთელობის დაცვის პროგრამების ხარჯების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 519 950.5 ათასი ლარი, მოთხოვნამ და საკასო ხარჯმა შეადგინა 467 991.9 ათასი ლარი, რაც გეგმის 90% და ვალდებულების (468 850.9 ათასი ლარი) 99.8%-ია.

„სხვა ხარჯების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმა განისაზღვრა 850 266.5 ათასი ლარით, აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 760 396.9 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 700 414.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 92.1%-ს და გეგმის 82.4%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 312 755.3 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 271 919.5 ათასი ლარი, რაც გეგმის და ვალდებულების (312 755.3 ათასი ლარი) 86.9%-ია; მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის ღონისძიებების დასაფინანსებლად

განისაზღვრა 49 000.0 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 47 347.7 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (47 196.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 99.7% და საგეგმო მაჩვენებლის 96.3%.

„არაფინანსური აქტივებისა და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განისაზღვრა 552 421.1 ათასი ლარის ასიგნებები; საანგარიშო პერიოდში აღებული ვალდებულებების ოდენობამ შეადგინა 351 129.3 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ – 336 198.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 95.7%-ს და გეგმის 60.9%-ს შეადგენს.

საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 321 736.7 ათასი ლარი. საანგარიშო პერიოდში რეგისტრირებული იქნა 202 687.2 ათასი ლარის ვალდებულებები, გადახდამ (198 946.6 ათასი ლარი) შეადგინა ვალდებულების 98.2% და საგეგმო მაჩვენებლის – 61.8%.

„ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების და მათზე ოპერაციების კლასიფიკაციით“ 2015 წლის ცხრა თვის გეგმით ფინანსური აქტივებით ოპერაციების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 278 899.0 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 233 819.6 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 233 817.9 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 100%-ს და გეგმის 83.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული მუხლიდან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის სესხისა და ლიზინგის ვალდებულებების დასაფინანსებლად განისაზღვრა 21 000.0 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 000.0 ათასი ლარი, რაც ვალდებულების და გეგმის 100%-ს შეადგენს; სამელიორაციო სისტემების მოდერნიზაციისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 33 000.0 ათასი ლარი, რაც გეგმის 80.5% და ვალდებულების 100%-ია.

„ვალდებულებების კლების“ მუხლით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 346 346.8 ათასი ლარის გამოყოფა. აღნიშნული მუხლიდან აღებულმა ვალდებულებებმა შეადგინა 317 651.0 ათასი ლარი, მოთხოვნამ და გადახდამ შეადგინა 305 355.8 ათასი ლარი, რაც ვალდებულების 96.1% და გეგმის 88.2%-ია. მათ შორის:

- საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 279 467.7 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (279 669.7 ათასი ლარი) 99.9%-ია;
- საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვისათვის გაწეულმა საკასო ხარჯებმა შეადგინა 25 888.1 ათასი ლარი, რაც ვალდებულების (37 981.3 ათასი ლარი) 68.2%-ია.

ორგანიზაციული კოდების მიხედვით დანართის სახით თანდართულია ასევე ინფორმაცია კრედიტებიდან და გრანტებიდან გაწეული ხარჯების შესახებ, რომელთა ანგარიშგებაში ასახვის საფუძველს წარმოადგენს ფინანსთა



სამინისტროს სახელმწიფო ვალის და საგარეო დაფინანსების დეპარტამენტის ინფორმაცია გრანტებისა და საერთაშორისო საინვესტიციო კრედიტების ფარგლებში ჩამორიცხული თანხების შესახებ, მ.შ. ინფორმაცია თანხების შესახებ, რომელთა ათვისება პროექტის განმახორციელებლების მიერ ხდება სახაზინო ანგარიშების გაუვლელად.

სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ფარგლებში გაწეულმა ხარჯმა, მომავალში მისაღები (ოვერდრაფტის) გრანტებისა და კრედიტების ანგარიშზე შეადგინა 10 735.8 ათასი ლარი. მათ შორის:

- „აღმოსავლეთ–დასავლეთის ჩქაროსნული ავტომაგისტრალის ზესტაფონი–ქუთაისი–სამტრედიის მონაკვეთის მშენებლობა–რეკონსტრუქციის პროექტი (JICA)“ – 9 563.9 ათასი ლარი;
- „მდგრადი ურბანული ტრანსპორტის განვითარების საინვესტიციო პროგრამა“ – 407.0 ათასი ლარი;
- „იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი სახლების გადაუდებელი რეაბილიტაცია დასავლეთ საქართველოში“ – 34.5 ათასი ლარი;
- „რეგიონალური და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის განვითარების პროექტი“ – 730.4 ათასი ლარი.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 15 თებერვლის #92 ბრძანების თანახმად, საქართველოს ბანკში გახსნილ სახაზინო სამსახურის კორპორაციულ საბარათე ანგარიშზე რიცხულმა ნაშთმა 2015 წლის პირველი სექტემბრისთვის შეადგინა 82.2 ათასი ლარი. აღნიშნული თანხა ასახულია შესაბამისი უწყებების საკასო ხარჯებში.

## სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები ფუნქციონალურ ჭრილში

2015 წლის იანვარ–აგვისტოში სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებმა ფუნქციონალურ ჭრილში შეადგინა 5 476 197.1 ათასი ლარი და ძირითადი ფუნქციონალური კატეგორიების მიხედვით, შემდეგი სტრუქტურით ხასიათდება:

საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხაზით გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 271 897.2 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის (1 529 990.2 ათასი ლარი) 83.1%-ია. აღნიშნულ ხარჯებში აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 227 776.9 ათასი ლარი, რაც გეგმის (286 545.8 ათასი ლარი) 79.5% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.9%-ია; სახელმწიფო ვალებთან დაკავშირებული ოპერაციების ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა – 217 735.3 ათასი ლარი, ანუ გეგმის (266 050.0 ათასი ლარი) 81.8.6% და საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურების ხარჯების 17.1%.

თავდაცვის ღონისძიებების ხარჯების დასაფინანსებლად 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 479 591.2 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 401 533.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.7%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის (5 476 197.1 ათასი ლარი) 7.3%.

საზოგადოებრივი წესრიგისა და უსაფრთხოების ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 721 619.3 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 601 077.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 83.3%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 11%; პოლიციის სამსახურის და სახელმწიფო დაცვის ხარჯების დაფინანსებამ შეადგინა 416 558.0 ათასი ლარი, ანუ გეგმის (491 225.8 ათასი ლარი) 84.8%; სასამართლოებისა და პროკურატურის დაფინანსების ხარჯებმა (63 789.3 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (81 702.4 ათასი ლარი) 78.1%; სასჯელაღსრულების დაწესებულებების დაფინანსების ხარჯებმა შეადგინა 77 301.6 ათასი ლარი, რაც გეგმის (86 376.3 ათასი ლარი) 89.5%-ია.

ეკონომიკური საქმიანობის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 728 724.3 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 529 159.1 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 72.6%. აღნიშნულ ხარჯებში საერთო ეკონომიკური, კომერციული და შრომით რესურსებთან დაკავშირებული საქმიანობის დაფინანსების ხარჯებმა (18 907.8 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (29 698.2 ათასი ლარი) 63.7%; სოფლის მეურნეობის, სატყეო მეურნეობის, მეთევზეობისა და მონადირეობის დაფინანსების ხარჯებმა (120 858.9 ათასი ლარი), გეგმის (139 943.5 ათასი ლარი) 86.4% შეადგინა; ტრანსპორტის ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 465 001.8 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 317 033.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 68.2%.

გარემოს დაცვის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 32 561.8 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 24 113.2 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 74%.

საბინაო-კომუნალური მეურნეობის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით გათვალისწინებულია 41 464.7 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 21 541.4 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 52%. მათ შორის, წყალმომარაგების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 25 730.0 ათასი ლარის გამოყოფა, გაწეულმა საკასო ხარჯმა კი შეადგინა 14 824.6 ათასი ლარი, რაც გეგმის 57.6%-ია.

ჯანმრთელობის დაცვის ხაზით 2015 წლის ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 600 890.6 ათასი ლარის გამოყოფა, ხოლო გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 546 352.0 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 90.9%, ხოლო

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 10%; ამბულატორიული მომსახურების ხარჯების დასაფინანსებლად გათვალისწინებულია 434 614.5 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (394 720.6 ათასი ლარი) შეადგინა გეგმიური მაჩვენებლის 90.8%; საავადმყოფოების მომსახურებისათვის გაწეულმა ხარჯებმა (91 718.7 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის (94 807.2 ათასი ლარი) 96.7%; საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურების ხარჯები დაფინანსდა – 9 812.0 ათასი ლარით, რაც გეგმის (11 927.1 ათასი ლარი) 82.3%-ია.

საქმიანობა კულტურის, დასვენებისა და რელიგიის სფეროში დაფინანსდა 148 789.3 ათასი ლარით, რაც 2015 წლის ცხრა თვის გეგმიური მაჩვენებლის (173 062.0 ათასი ლარი) 86%-ს შეადგენს. ტელე-რადიო მაუწყებლობის და საგამომცემლო საქმიანობის დასაფინანსებლად განსაზღვრულია 33 707.1 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა (29 494.9 ათასი ლარი) შეადგინა გეგმის 87.5%.

განათლების სფეროს დასაფინანსებლად ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 635 759.7 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 508 565.8 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 80% და სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 9.3%; აღნიშნულ ხარჯებში ზოგადი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 305 220.7 ათასი ლარი, რომელიც გეგმის (361 375.0 ათასი ლარი) 84.5%-ია; უმაღლესი განათლების დაფინანსებამ შეადგინა – 83 331.1 ათასი ლარი, რაც გეგმის (93 517.1 ათასი ლარი) 89.1%-ია.

სოციალური დაცვის ხაზით ცხრა თვის გეგმით განსაზღვრულია 1 639 263.4 ათასი ლარის გამოყოფა; გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა 1 423 168.3 ათასი ლარი, ანუ გეგმიური მაჩვენებლის 86.8%, ხოლო სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯების მთლიანი მოცულობის 26%. ხანდაზმულთა სოციალური დაცვის ხარჯების დასაფინანსებლად განსაზღვრულია 1 033 371.3 ათასი ლარის გამოყოფა, საკასო ხარჯმა შეადგინა 910 313.9 ათასი ლარი, ანუ გეგმის 88.1%; ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვისთვის გაწეულმა ხარჯებმა შეადგინა 414 076.8 ათასი ლარი, რაც გეგმის (480 216.8 ათასი ლარი) 86.2%-ია.

## **საქართველოს პრეზიდენტის და საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდები**

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ორმოცდაშვიდ შემთხვევაში შეადგინა სულ 2 281.8 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 1 385.4 ათასი ლარი.

საქართველოს პრეზიდენტის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში აუთვისებელი თანხების მოცულობამ 2015 წლის 1 სექტემბრის მდგომარეობით შეადგინა 896.4 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ სამოცდახუთ შემთხვევაში შეადგინა სულ 56 994.1 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 54 027.3 ათასი ლარი.

საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 2 966.8 ათასი ლარი.

ორგანიზაციულ ჭრილში თანხების ხარჯვის შესახებ ინფორმაცია თან ერთვის.

## **რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი**

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან საანგარიშო პერიოდში გამოყოფილი ასიგნებების მოცულობამ ოცდაათობმეტ შემთხვევაში შეადგინა სულ 199 657.9 ათასი ლარი.

გამოყოფილი ასიგნებებიდან საანგარიშო პერიოდის განმავლობაში გაწეულმა საკასო ხარჯმა შეადგინა სულ 188 417.3 ათასი ლარი.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების ფარგლებში 2015 წლის 1 სექტემბრისთვის აუთვისებელი თანხების მოცულობამ შეადგინა სულ 11 240.6 ათასი ლარი.

## **წინა პერიოდში წარმოქმნილი სხვა კრედიტორული დავალიანებების დაფარვა**

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საანგარიშო პერიოდში წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დასაფარად „ვალდებულებების კლების“ მუხლით გამოყოფილი იქნა 12 854.5 ათასი ლარი, საკასო ხარჯმა შეადგინა 10 595.4 ათასი ლარი. აქედან: ცალკეული ღონისძიებების სახით წინა პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებების დასაფარად განისაზღვრა 7 918.4 ათასი ლარის ასიგნება, საკასო ხარჯმა შეადგინა 6 409.9 ათასი ლარი. მათ შორის: საქართველოს რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს საავტომობილო გზების

დეპარტამენტის მიერ, წინა წლებში შესრულებული საგზაო სამუშაოების აუნაზღაურებელი ნაწილის გადასახდელად მიიმართა 5 510.5 ათასი ლარი (გეგმა – 7 000.0 ათასი ლარი); სსიპ „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ საგარეო-სხვა კრედიტორული დავალიანების დაფარვის გეგმამ შეადგინა 918.4 ათასი ლარი, გაწეულმა საკასო ხარჯმა – 899.4 ათასი ლარი.

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 16 000.0 ათასი ლარი, სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულებისათვის გაწეულმა ხარჯმა შეადგინა 2 489.6 ათასი ლარი; აქედან: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დასაფარად გამოეყო 174.7 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 174.7 ათასი ლარი), ხოლო სხვა ხარჯების მუხლით გამოეყო 11 903.1 ათასი ლარი (საკასო ხარჯი – 11 903.1 ათასი ლარი).

„საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ცალკეული ღონისძიებებისათვის და წინა პერიოდში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვის ფონდიდან გამოყოფილი ასიგნებების გარდა, გაწეული ხარჯი (მათ შორის მიზნობრივი გრანტის ფარგლებშიც) (გეგმა – 839.2 ათასი ლარი, საკასო ხარჯი – 1 521.2 ათასი ლარი) ითვლება საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საბიუჯეტო ასიგნებებში წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე წინა პერიოდის დავალიანების დაფარვად.

ამასთან, ბიუჯეტის შესახებ კანონით განსაზღვრული ღონისძიებებისა და გამოყოფილი ასიგნებების მიხედვით საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ საანგარიშო პერიოდში, წინა წლების დავალიანებების დასაფარავად გაწეულ ხარჯებზე ინფორმაცია ორგანიზაციულ ჭრილში ერთვის დანართის სახით.

„წინა წლებში წარმოქმნილი ვალდებულებების დაფარვისა და სასამართლოს გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდის“ ფარგლებში, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ, შესაბამისი სააღსრულებლო ბიუროების საინკასო დავალებებით სახაზინო სამსახურის ანგარიშებიდან წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან, დაკისრებული თანხების სახით ავტომატურ რეჟიმში იძულების წესით ჩამოჭრილი იქნა – 2 489.6 ლარი, რაც გატარდა საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელის ორგანიზაციულ კოდზე.

2015 წლის იანვარ-აგვისტოს სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელის, ნაშთის ცვლილებისა და მთლიანი სალდოს შესახებ წარმოდგენილი ანგარიში შედგენილია სახაზინო სამსახურში არსებული ოპერატიული მონაცემების საფუძველზე.